თამარ ორჯონიკიძე •

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტის დასაცავად ••

აბსტრაქტი

1921 წელს საქართველოს გასაბჭოებისას საბჭოთა რუსეთის ჯარების წინააღმდეგ, სხვებთან ერთად, ქვეყნის დასაცავად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები გაერთიანდნენ. ამ პროცესში განსაკუთრებით აღსანიშნავია ივანე ჯავახიშვილის, უნივერსიტეტის რექტორის წვლილი. მან სიტყვით მიმართა სტუდენტებს, მხარდაჭერა გამოუცხადა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელობას და სამშობლოს დასაცავად ბრძოლისაკენ მოუწოდა. ნაშრომში მოკლედ მიმოვიხილავთ ივანე ჯავახიშვილის პოზიციას 1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთის საქართველოში შემოჭრის პერიოდში. ასევე, მნიშვნელოვანია, აწვდის თუარა რაიმე ინფორმაციას სასკოლო სახელმძღვანელოები მოსწავლეებს ივანე ჯავახიშვილის შესახებ, კერძოდ კი, ჯავახიშვილის დამოკიდებულების შესახებ საქართველოს ოკუპაციის პერიოდში და რა ხასიათისაა ეს ინფორმაცია. ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებში მოცემული მასალები.

• ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მიმართულების დოქტორანტი; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტ-მკვლევარი.

•• კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტის - „ივანე ჯავახიშვილის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სამეცნიერო მოღვაწეობა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) პერიოდში" ფარგლებში. გრანტის კოდი: FR-21-9053.

ყურადღება გამახვილებულია მასალის მოცულობასა და წარმოდგენილ დოკუმენტებზე. გამოყოფილია ის ძირითადი ფაქტები, რასაც სახელმძღვანელოთა ავტორები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ აღნიშნული საკითხის განხილვისას.

კვლევისას გამოიკვეთა, რომ სახელმძღვანელოებში ყურადღება გამახვილებულია ივანე ჯავახიშვილის წვლილზე საქართველოში უნივერსიტეტის დაარსებაში, მის სამეცნიერო მოღვაწეობასა და რექტორობაზე. არაა ნახსენები უნივერსიტეტის, მისი პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების პოზიცია საქართველოს ოკუპაციისას. ზოგიერთი ავტორი აღნიშნავს ასევე 1930-იან წლებში ივანე ჯავახიშვილზე საბჭოთა ხელისუფლების მიერ მიტანილ იერიშს და მის მიმართ განხორციელებულ რეპრესიებზე საუბრობს.

საკვანძო სიტყვები: ივანე ჯავახიშვილი; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა; სასკოლო სახელმძღვანელოები; საქართველოს ოკუპაცია.

შესავალი

ივანე ჯავახიშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად 1919 წელს აირჩიეს. საქართველოს გასაბჭოებისას სწორედ ის ხელმძღვანელობდა პირველ ქართულ უნივერსიტეტს. საბჭოთა პერიოდში, რა თქმა უნდა, არაფერი იწერებოდა იმის თაობაზე, თუ როგორი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის 1921 წლის პირველი თვეები. მხოლოდ გაკვრით აღინიშნებოდა, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ მუშაობის პირობები შეუქმნა ქართულ უნივერსიტეტს. თუმცა არაფერი იყო ნათქვამი, თუ რას აკეთებდა უნივერსიტეტი ომის დღეებში, როგორ იბრძოდნენ და იღუპებოდნენ სტუდენტები სამშობლოსათვის. ამ პერიოდის შესახებ საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებში დაიწყო საუბარი და გარკვეული ნაშრომებიც გამოქვეყნდა.

ივანე ჯავახიშვილი 1921 წელს

1921 წლის თებერვალში განვითარებულ მოვლენებს უნივერსიტეტი 16 თებერვალს გამოეხმაურა - გაიმართა პროფესორთა საბჭოს საგანგებო სხდომა, უნივერსიტეტის წინ კი მიტინგი. პროფესორთა საბჭოზე მიღებული დადგენილებით ივანე ჯავახიშვილმა საქართველოს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმთან არსებულ თავდაცვის კომიტეტს მიმართა, საიდანაც ვიგებთ, რომ უნივერსიტეტი, საკუთარი შესაძლებლობის ფარგლებში, სრულად ერთვებოდა ქვეყნის დაცვის პროცესში. კერძოდ, დადგენილების თანახმად, ისინი სთხოვდნენ კომიტეტს საჭიროებისამებრ გამოეყენებინათ უნივერსიტეტის სამეცნიერო-სასწავლო ნაწილის გონებრივი თუ ფიზიკური რესურსები; აგრეთვე, უნივერსიტეტის ლაბორატორიებისა თუ სამკურნალო ფაკულტეტის კლინიკები მოემსახურებოდნენ ომის საჭიროებებს [1]. დადგენილებას ხელს აწერდნენ უნივერსიტეტის რექტორი ივანე ჯავახიშვილი და საბჭოს მდივანი აკაკი შანიძე აწერდნენ, მიმართვას კი თან დაერთო თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-სასწავლო ნაწილის პირადი შემადგენლობის სია.

იმავე 16 თებერვალს უნივესიტეტში გაიმართა ასევე სტუდენტთა საერთო კრება, სადაც სიტყვა წარმოთქვეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების წარმომადგენლებმა -

[1] ა) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები, დოცენტები, ლექტორები, ასისტენტები და საზოგადოდ სამეცნიერო-სასწავლო ნაწილის პირადი შემადგენლობის წევრები მზად არიან ყველანი, მთელი თავისი ცოდნა, გამოცდილება და სიცოცხლე შესწირონ საფრთხეში მყოფის ძვირფასი სამშობლოს თავისუფლების დაცვის საქმეს და სთხოვონ კომიტეტს, რათა მათი გონებრივი თუ ფიზიკური ძალა გამოიყენოს ისე, როგორც მას საუმჯობესოდ მიაჩნია სამშობლოს დაცვის მიზნებისათვის.

ბ) უნივერსიტეტის სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ლაბორატორიებისა და სამკურნალო ფაკულტეტის კლინიკების კარები ღიაა ომის საჭიროებისათვის“.

ალექსანდრე ლორთქიფანიძემ და გრიგოლ რცხილაძემ. აღსანიშნავია სტუდენტთა სიმრავლე, რის გამოც აუდიტორიაში დაწყებული კრება ინაცვლებს უნივერსიტეტის ეზოში, სადაც შეკრებილებს უკვე სიტყვით ივანე ჯავახიშვილმაც მიმართა. რექტორი სტუდენტებს სამშობლოს დაცვისაკენ შემდეგი სიტყვებით მოუწოდებს: „შვილებო, ჩემი მოვალეობაა თქვენ წიგნისა და კალმისკენ მოგიწოდოთ, მაგრამ ერის ცხოვრებაში არის ისეთი მომენტები, როცა საჭიროა ყველაფერი განზე გადასდო და იარაღით ხელში მტერს მიეგებო. და აი, მეც თქვენ დღეს იარაღისაკენ მოგიწოდებთ".

1990 წელს „თბილისის უნივერსიტეტში“ გამოქვეყნდა ალექსანდრე ბარამიძის მოგონება, რომელიც სტუდენტთა შეკრებაზე, მათ შორის ჯავახიშვილის სიტყვის შესახებ კიდევ უფრო მეტ დეტალს გვაცნობს. კერძოდ, როგორც ბარამიძე იხსენებდა:

„უნივერსიტეტის რექტორი ძლიერ ღელავდა. მან გაბზარული ხმით ბრძანა: "მე ვეთანხმები მთავრობის წარმომადგენელს, რომ ჩვენს ქვეყანას უკიდურესი გასაჭირის დღეები დაუდგა. მე მოვუწოდებ ჩვენს სტუდენტობას, ვისაც კი უნარი შესწევს, თავი გამოიდოს სამშობლოსათვის. მართალია, გვაკლია იარაღი, გვაკლია საომარი აღჭურვილობა, გვაკლია სურსათ-სანოვაგე, გვაკლია ბევრი სხვა რამეც, მაგრამ ჩვენს ბრძენ ხალხს უთქვამს, - აქ ბატონმა რექტორმა ხმას აუწია და მკაფიოდ წარმოთქვა, - "ვაჟკაცსა გული რკინისა, აბჯარი თუნდა ხისაო". ჩვენი ეროვნული კულტურის თეთრი ტაძარი გზას დაულოცავს ყველას, ვინც ბრძოლის ველისაკენ გაეშურებაო, - დაასრულა სიტყვა ცრემლმორეულმა რექტორმა“. შეკრებაზე სტუდენტებმა ფიცი დადეს, რომ დაიცავდნენ სამშობლოს და ჩაეწერნენ ფრონტზე გასამგზავრებლად. ამ შეკრებას ქართული გაზეთები აქტიურად ეხმაურებოდნენ და აშუქებდნენ.

აღსანიშნავია, რომ 1922 წლის მარტში ევროპისა და ამერიკის ახალგაზრდობას 4500 ქართველი სტუდენტის სახელით მიმართა ქართული სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა საბჭომ, სადაც თანატოლებს მოუთხრობდნენ იმ პოლიტიკის შესახებ რასაც საბჭოთა რუსეთი გასაბჭოებულ საქართველოში ატარებდა და ამას-

თანავე, ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ არავითარი დასაყრდენი საბჭოთა ხელისუფლებას საქართველოში არ ჰყავდა, საქართველოს მოსახლეობა არ თანაუგრძნობდა ბოლშევიკურ რეჟიმს. მიმართვაში ყურადღება გამახვილებულია იმ მძიმე მდგომარეობაზე, რაც უნივერსიტეტში შეიქმნა საბჭოთა რეჟიმის დამყარების შემდეგ. კერძოდ, სტუდენტთა საბჭო წერდა, რომ „საქართველოს მიწა-წყალზე შემოჭრილმა უცხო ძალამ მოიწადინა ქართველი ხალხის ეროვნული გადაგვარება. იგი სცდილობს მოშალოს ერის კულტურის აღორძინების უმძლავრესი ფაქტორი - სახელმწიფო უნივერსიტეტი. დაიწყო სტუდენტობის მასიური შევიწროება და ყველა მისი ორგანიზაციების დაშლა. ერის თავგანწირულ ბრძოლაში აქტიურ და პირდაპირ მონაწილეობას იღებს მთელი ქართველი სტუდენტობა. ის დარწმუნებულია, რომ ერის პოლიტიკური დამოუკიდებლობის გარეშე შეუძლებელია მშვიდი სამეცნიერო მუშაობა და ეროვნული კულტურის განვითარება...“.

ივანე ჯავახიშვილის პოზიცია 1921 წელს სასკოლო სახელმძღვანელოებში

როგორც უკვე აღინიშნა, საბჭოთა პერიოდში არაფერი იწერებოდა იმის თაობაზე, თუ როგორი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის 1921 წლის პირველი სამი თვე. მხოლოდ გაკვრით აღინიშნებოდა, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ მუშაობის პირობები შეუქმნა ქართულ უნივერსიტეტს. თუმცა არაფერი იყო ნათქვამი, თუ რას აკეთებდა უნივერსიტეტი ომის დღეებში, რა პოზიცია ეკავა რექტორს, ივანე ჯავახიშვილს. ამ პერიოდის შესახებ საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებში დაიწყო საუბარი და გარკვეული ნაშრომებიც გამოქვეყნდა. საინტერესოა, რა ინფორმაციას აწვდის სასკოლო სახელმძღვანელოები მოსწავლეებს ჯავახიშვილის შესახებ, კონკრეტულად კი მისი დამოკიდებულების შესახებ საბჭოთა ოკუპაციის პერიოდში.

კვლევამ გამოკვეთა, რომ საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოების მხოლოდ მცირე ნაწილშია

მოცემული ინფორმაცია ივანე ჯავახიშვილის შესახებ. მოცემული ინფორმაციაც ეხება მის სამეცნიერო მოღვაწეობას, რექტორობას; მის დამსახურებას უნივერსიტეტის დაარსებისას. ფ. ლომაშვილის ავტორობით 2003 წელს გამოცემული XI კლასისათვის განკუთვნილი სახელმძღვანელო „საქართველოს ისტორია 1801-2001“, მხოლოდ რამდენიმე წინადადებით ეხება ივ. ჯავახიშვილს. კერძოდ, მოსწავლეებს აწვდის ინფორმაციას მის როლზე საქართველოში პირველი ქართული უნივერსიტეტის დაარსებაში და რექტორად პეტრე მელიქიშვილის არჩევაში. შემდეგ კი აღნიშნავს, რომ მალევე თავად ივანე ჯავახიშვილი ჩაუდგა უნივერსიტეტს სათავეში. ამავე სახელმძღვანელოში მოცემულია ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ჯავახიშვილის, ჯანაშიასა და ბერძენიშვილის ავტორობით 1944 წელს გამოიცა ისტორიის სახელმძღვანელო, რომელიც მეორე მსოფლიო ომის პერიოდში პატრიოტიზმის გაღვივებას ემსახურებოდა. ავტორისათვის მოცემული სახელმძღვანელო „ჭეშმარიტად ბრწყინვალეა“ და „დღესაც მიუწვდომელ მწვერვალად რჩება“ (ლომაშვილი, 2002, გვ. 51). ლომაშვილისთვის ჯავახიშვილი „ქართველოლოგიის ერთგული მსახურია“ საქართველოში კულტურული რევოლუციის განხორციელებისას. აქვე აღნიშნულია, რომ 1930-იანი წლების რეპრესიებისას „ივანე ჯავახიშვილი მის მიერ დაარსებული უნივერსიტეტიდან გააძევეს“ (ლომაშვილი, 2002, გვ. 77). სახელმძღვანელოში არაფერია ნათქვამი საქართველოს ოკუპაციის პერიოდში ჯავახიშვილის პოზიციაზე.

კიდევ ერთი სახელმძღვანელო, რომელიც ივანე ჯავახიშვილის შესახებ აწვდის ინფორმაციას მოსწავლეებს, 2012 წელა ავტორთა კოლექტივის მიერ გამოცემული, მე-9 კლასისათვის განკუთვნილი „საქართველოს ისტორიაა“ (ჯანელიძე, 2012). აღნიშნულ სახელმძღვანელოშიც ყურადღება გამახვილებულია ჯავახიშილის სამეცნიერო მუშაობასა და მის წვლილზე საქართველოში უნივერსიტეტის დაარსებისას (ჯანელიძე, 2012, გვ. 331). არც მოცემული სახელმძღვანელო აწვდის მოსწავლეებს ინფორმაციას ჯავახიშვილის პოზიციაზე 1921 წლის მოვლენებისას.

ივ. ჯავახიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობასა და მის როლზე ქართული უნივერსიტეტის დაარსებისას აღნიშნავს 2005 წელს გამოცემული IX კლასელთათვის განკუთვნილი საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო (ვაჩნაძე, 2005). მოცემული სახელმძღვანელო როგორც ჯავახიშვილის, ისე მის მოწაფეთა 1921-1942 წლებში დაწერილ ნაშრომებს აცნობს მოსწავლეებს.

ივანე ჯავახიშვილზე საბჭოთა ხელისუფლების მიერ მიტანილ იერიშზე ამახვილებს ყურადღებას 2021 წელს, ავტორთა კოლექტივის მიერ გამოცემული „საქართველოსა და მსოფლიოს ისტორიის“ მე-9 კლასის სახელმძღვანელო (სურგულაძე, 2021). წიგნში მოცემულია ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ივ. ჯავახიშვილი ჯერ აიძულეს რექტორობაზე ეთქვა უარი, შემდგომ კი საერთოდ აუკრძალეს პედაგოგიური საქმიანობა; დაუპირისპირეს ე.წ. „წითელი პროფესორები“, ბრალად სდებდნენ „მჩაგვრელი კლასის სიყვარულს“. მისი დევნა 1936 წელს დასრულდა, როცა ავტორთა თქმით, „საბჭოთა მთავრობას და პირადად სტალინს მისი მეცნიერული ავტორიტეტი დასჭირდა“ (სურგულაძე, 2021, გვ. 52).

ჯავახიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობაზე 1920-1930-იან წლებში ყურადღებას ამახვილებს 2008 წელს ავტორთა კოლექტივის მიერ გამოცემული კიდევ ერთი სახელმძღვანელო (მალაზონია, 2008). ხაზგასმულია რექტორების, პეტრე მელიქიშვილისა და ივანე ჯავახიშვილის წვლილი, საქართველოსათვის უნივერსიტეტის მნიშვნელობა, რასაც განამტკიცებს სახელმძღვანელოში მოყვანილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების მინისტრის, გიორგი ლასხიშვილის სიტყვები.

დასკვნა

კვლევისას შესწავლილი სახელმძღვანელოების ძირითად ნაწილში ივანე ჯავახიშვილის შესახებ გარკვეული ინფორმაცია არის მოცემული. მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელოებისაგან განსხვავებით, საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოებში მოცემულია ჯავახიშვილის სურათები და ავტორები ყურადღებას ამახვილებენ რამდენიმე ფაქტორზე, როდესაც მოსწავლეებს ჯავახიშვილის შესახებ მოუთხრობენ. ესენია:

- ჯავახიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობა;
- ჯავახიშვილის წვლილი საქართველოში უნივერსიტეტის დაარსებაში და მისი რექტორობა;
- საბჭოთა ხელისუფლების შეტევა ჯავახიშვილზე 1930-იანი წლების რეპრესიების დროს.

სახელმძღვანელოებში არაა მოცემული ინფორმაცია უნივერსიტეტის, მისი პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების პოზიციის შესახებ საქართველოს ოკუპაციისას, არადა საბჭოთა რუსეთისათვის საქართველოში შემოჭრის დროს წინააღმდეგობის გამწევთა შორის ახალგაზრდები, უნივერსიტეტის სტუდენტები საკმაოდ დიდ როლს ასრულებდნენ. ამ ყველაფრისკენ კი მათ უნივერსიტეტის რექტორმა, ივანე ჯავახიშვილმა მოუწოდა. უმჯობესი იქნება სტუდენტების მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვაზე მეტი ინფორმაცია ჰქონდეთ მოსწავლეებს და ასევე გაეცნონ მათ მიმართ რეწტორის მოწოდებასაც.

გამოყენებული ლიტერატურა

აბდალაძე, გ. კუპატაძე, ბ. ახმეტელი, ნ. მურღულია, ნ. (2012). ისტორია. თბილისი. გამომცემლობა "დიოგენე".

ახმეტელი, ნ. ლორთქიფანიძე, ბ. ფირცხალავა, ნ. (2020). ისტორია. თბილისი. გამომცემლობა „დიოგენე".

ბოლოთაშვილი, გ. კიღურაძე, ნ. მეძმარიაშვილი, ე. (2004). უახლესი ისტორია 1918-1991. თბილისი. გამომცემლობა „კონა".

ვაჩნაძე, მ. და გურული, ვ. (2005 წ.) საქართველოს ისტორია IX. თბილისი. გამომცემლობა „არტანუჯი".

კიღურაძე, ნ. გაჩეჩილაძე, რ. სანიკიძე, გ. (2012). ისტორია. თბილისი. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.

ლომაშვილი, ფ. (2002). საქართველოს ისტორია 1801-2001. თბილისი. ივერია. გამომცემლობა"ციხარტყელა".

მალაზონია, დ. კვიტაიშვილი, ნ. მალაზონია, თ. (2008). საქართველოს ისტორია. „ქართული ბიოგრაფიული ცენტრი".

სურგულაძე, მ. კეკელია, ვ. ლაბაძე, რ. მურუსიძე, შ. და ქურთუბაძე, მ. (2021). საქართველოსა და მსოფლიოს ისტორია. თბილისი. ლოგოს პრესი

ჯანელიძე, ო. თაბუაშვილი, ა. თავაძე, ლ. ირემაშვილი, ნ. (2012). საქართველოს ისტორია. თბილისი. გამომცემლობა „კლიო".

მაცაბერიძე, მ. (2014). უნივერსიტეტი 1921 წლის თებერვალში. თბილისი. „ახალი აზრი".

საქართველოს ეროვნული არქივი https://archive.gov.ge/ge/okupaviis-100-tseli-1

საქართველოს ეროვნული არქივი https://archive.gov.ge/ge/2021-1/sakartvelos-okupatsiis-100-tslistavi-2

Tamar Orjonikidze

Ivane Javakhishvili in defense of Georgian University

Abstract

In 1921, during the sovietization of Georgia, the youth and the professors and teaching staff of Tbilisi State University joined together with others to defend the country against the Soviet Russian troops. In this process, the contribution of Ivane Javakhishvili, the rector of the university, is particularly noteworthy. He addressed the students, expressed his support for the leadership of the Democratic Republic of Georgia and called them to fight for the protection of the motherland. In the paper, we briefly review the position of Ivane Javakhishvili during the invasion of Georgia by Soviet Russia in February 1921. It is also noteworthy whether the school textbooks provide any information to students about Ivane Javakhishvili, in particular, about Javakhishvili's attitude during the occupation of Georgia and what kind of information this is. The paper analyzes the materials contained in the school textbooks of Georgian and world history. Attention is focused on the volume of material and presented documents. The main facts are highlighted, to which textbook authors pay special attention when discussing this issue.

The study revealed that in the textbooks the focus is made on the contribution of Ivane Javakhishvili to the founding of the university in Georgia, his scientific activities and rectorship. The position of the university, its professors, academic staff, and students during the occupation of Georgia is not mentioned. Some authors also note the attack of the Soviet authorities on Javakhishvili in the 1930s and talk about repressions carried out against him.

Keywords: Ivane Javakhishvili; Democratic Republic of Georgia; History textbooks; Russia's occupation of Georgia.